

სწავლების მეთოდიკა
Methodic of Teaching

ზმნის უღლების სისტემის სწავლება ენათა ევროპული ჩარჩოს შესაბამისად
(I სერია, აწმყოს წრე)

ნანა შავთვალაძე

საქართველოს უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
e-mail: nana.shavtvaladze@ug.edu.ge
<https://doi.org/10.52340/lac.2025.34.27>

SJIF 2025: 8.584

ქართულის, როგორც უცხო ენისადმი ინტერესი ამ საუკუნიდან განსაკუთრებით აღინიშნება. რა თქმა უნდა, ადრეც იყო ინტერესი ამ განსაკუთრებული ენის შესავლისა. ამიტომაც იყო ქართლი ენის შესასწავლი სახელმძღვანელოები გამოცემული. სულ ორიოდე დეკადაა, რაც ქართულ ენაზე საუბრით ბევრი უცხოელი დაინტერესდა. ეს მიდგომა განსხვავდება ქართულის, როგორც მეორე ენის შესასწავლი ფორმატისგან.

ამ ბოლო პერიოდში რამდენიმე სახელმძღვანელო დაიბეჭდა. უდიდესი შრომაა სახელმძღვანელოს შექმნა, თან ქართული ენისა. უცხო ენის შესასწავლი სახელმძღვანელოები მრავალია, უკვე გამოცდილი და შედეგზე ორიენტირებული. ინტერნეტსაშუალებებით ყველა სიახლისა და ახალი მიდგომების აღმოჩენა, მსოფლიო რიტმისთვის ფეხის აწყობა, აღარაა პრობლემა. სხვადასხვა ენის შესასწავლი მასალის გაცნობისას ბევრ ავტორს გაუჩნდა სურვილი, ირწმუნა საკუთარი თავისა, რომ შექმნა „ქართულის, როგორც უცხო ენის“ სახელმძღვანელო. ყველა ავტორს განსხვავებული მიდგომა აქვს. დღეს უკვე არჩევანიც და ასპარეზიც დიდია. უცხო ენის შესასწავლი მიდგომები, სწავლების გზა, გამოყენებული მეთოდები, სტრატეგიები, ხერხები, შესაძლებელია, რაღაც კუთხით გამოყენებული იყოს, მაგრამ აუცილებელია, გათვალისწინებული იყოს ქართული ენის სტრუქტურა, გათვალისწინებული იყოს მეთოდური ბადე. სხვა შემთხვევაში, შედეგი მიუღწეველი იქნება. სახელმძღვანელომ გაამართლა თუ არა, ამას მომხმარებელი ადგენს, ეს წარმატება წლებითა და წიგნის გამოცემის რაოდენობით იზომება, თან ქართული ენა და საქართველო ტერიტორიითა და გამოყენების ველით, მსოფლიო მასშტაბის არენაზე არაა დიდი.

ავტორები აქამდე დონის დასადგენად მხოლოდ 2006 წელს მარიკა ოძელის ხელმძღვანელობით გამოცემულ „ქართული ენის ფლობის დონეების აღწერილობას“ იყენებდნენ.

ძლიერ სასიხარულოა, რომ 2020 წლის 30 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება №394 ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამტკიცების შესახებ. დანართი 4. ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობაა: „ ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა მოიცავს იმ კრიტერიუმთა ერთობლიობას, რომლითაც განისაზღვრება ქართული ენის ფლობა მოსმენის, კითხვის, მეტყველებისა და წერის შესაბამისი დონის მიხედვით. დოკუმენტი შესრულებულია ენათა სწავლის, სწავლებისა და შეფასების

რეკომენდაციათა საერთო ევროპული ჩარჩოს CEFR ექვსდონიანი სისტემის – A1, A2, B1, B2, C1, C 2 –საფუძველზე. დოკუმენტის მიზანია, ქართული ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი, უნიფიცირებული სისტემის დანერგვა. ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა სავალდებულოა ქართული ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა შემთხვევაში“.

ეს ოფიციალური დოკუმენტი დიდ იმედს იძლევა; ის ახლა უკვე ქართული ენის შეფასებისას ინდიკატორებისა და მტკიცებულებების საყრდენია; მისი საშუალებით შესაძლებელია მასალების, სახელმძღვანელოების, სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენა ენის ფლობის დონეებთან.

მთავარია, სახელმძღვანელოს კონკრეტული მიზნის განსაზღვრა; სწავლების გზის ასახვა; ლოგიკურად დალაგება; თითოეული საკითხის სტრუქტურულად გაწერა; მეთოდური ბმის უზრუნველყოფა; მარტივიდან რთულისკენ სტრატეგიის დაცვა, ლექსიკის მიზნობრივად დალაგება და ა.შ.

ქართული ენის შემსწავლელს არჩევანი დიდი აქვს, შეუძლია ინტერნეტსივრცეში ატვირთული უფასო სახელმძღვანელოებით სწავლა და სხვადასხვა ავტორის მიერ დაბეჭდილი წიგნებითაც. ასევე, ბევრი ქართული ენისა და ლიტერატურის ფილოლოგი თუ არაფილოლოგი, სხვადასხვა უცხო ენის მასწავლებელი ასწავლის ქართლს, როგორც უცხო ენას. მათთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია სახელმძღვანელოს შერჩევა, რომ სწავლების პროცესი მიზნობრივი იყოს და მათ გზადაგზა არ მოუწიოთ დროის დახარჯვა კონკრეტული მასალის მომზადებისთვის. როგორ უნდა შეარჩიონ სასწავლო პროგრამა, სახელმძღვანელო ან როგორ უნდა მიხვდნენ, თუ რომელი წიგნი გამოადგებათ? ეს რთული პროცესია, მაგრამ შედეგზე გასასვლელად გადამწყვეტი.

ჩვენ 2005 წლიდან ვთავაზობთ მომხმარებელს „ტრადიციული ქართლი სასწავლო პროგრამას.“ სერია „ბილიკი“ დაყრდნობილია CEFR -ის ენათა ევროპულ ჩარჩოს სახელმძღვანელოებში განსაზღვრულია მეთოდური ბადე და დაცულია ქართლის, როგორც უცხო ენის დონესთან შესაბამისობა და გამოყენებულია გამოცდილებით მიღებული საინტერესო ხრიკები ენის ადვილად აღსაქმელად. ჩვენს აღწერილობაში მნიშვნელოვანია გამოვლინდეს ენის სწავლების მიზნის გარდა შესაბამისობა სახელმძღვანელოს პროგრამასთან, სილაბუსთან, სასწავლო გეგმასთან, შეფასების კრიტერიუმებთან, მეთოდურ ჩარჩოსთან. თითოეული დონე შედგება სახელმძღვანელოებისგან, სამუშაო რვეულისგან, საკითხავი მასალისგან. გამოყენებულია: ტექსტები, შექმნილი და ავთენტური, გრამატიკული მასალა, ჩარჩოები, შესაბამისი ლექსიკა, სტრუქტურულად და მიზნობრივად გაწერილი, თანამედროვე მეთოდიკაში აღიარებული სხვადასხვა სავარჯიშო, მათ შორის მოსასმენი დიალოგები.

ამჯერად, ჩვენი საკვლევი თემაა ზმნის გამოყენების არეალი. მისაწვდომობა, შინაარსის გაგება, სიტუაციის აღქმა, მიზნობრივი უკუგება შინაარსობრივად გასაგებია და მიღწევადია. ამაში კი ყველა ენა თავის კონსტრუქციას იყენებს, რაც ბუნებრივია.

ქართულში რომ ზმნა არის ჩვენი გრამატიკის ხერხემალი, ამაზე სადაცო არაფერია. სხვათა შორის, სხვა ენათა გრამატიკების მნიშვნელოვანი ნაწილი იმავე ქმედებას იმეორებს, მაგრამ ქართლს ამ მხრივ ბადალი არ ჰყავს.

ზმნის პოლისემიურობა, ძირითადი კოორდინატის ფუნქცია, წარმოების სხვადასხვაობა, უღლების ოთხი ტიპი უდიდეს სივრცეს ქმნიან ენაში. როგორ ვალაგებთ ამ აურაცხელ ენობრივ მასალას დონეების მიხედვით, საინტერესოა. პირველ რიგში, გადამწყვეტი არის სიტუაციური თემატიკა. რაც არ უნდა თქვა, მოიფიქრო, ახალს ვერ გამოიგონებ, ყველა ენის სწავლებისას მიღებული პრაქტიკა თემატიკათა არსებული დოგმა, მით უმეტეს პირველ დონეზე. ყველაფერი იწყება წარდგენით, გაცნობით, ვინაობით, ოჯახით და ა.შ. შემდეგ უკვე განვითარება დამოკიდებულია პროგრამის მიზანზე, ტრადიციული, საურთიერთო ენა უნდა შეასწავლოს მომხმარებელს თუ სპეციფიკური, დარგობრივი.

ჩვენი სერია „ბილიკი“ ტრადიციული, საურთიერთო, პრაქტიკული ენის კურსია, რომელიც, რა თქმა უნდა, ითვალისწინებს გრამატიკას - მორფოლოგიისა და სინტაქსის გათვალისწინებით. გრამატიკა რეალურად დაფარულია, მხოლოდ მინიშნებებით, ცხრილებითა და ლოგიკური ნიმუშებითაა ახსნილი. გრამატიკის გარეშე შემსწავლელი ფონს ვერ გავა, ვერ შეძლებს წინადადების აწყობას, აზრის გამოხატვას და ვერც სასაუბრო ენის გაგებას. ხშირად არის ხოლმე, როცა ენის შესწავლის მსურველი გეუბნება, რომ არ უნდა წერის სწავლა, რადგან არ სჭირდება და არც გრამატიკის ხსენება სწავლებისას, რადგან არ უყვარდა სკოლაში და არც თავისი მშობლიური ენის გრამატიკა იცის. ასეთ დროს ბარიერის წინაშე ვდგავართ, უდავოდ, არავის უნდა ე.წ. კლიენტის დაკარგვა, მაგრამ მისი მოთხოვნა როგორი შესასრულებელია?! ამიტომ ვემზადები დიდი მონოლოგისთვის, ვუხსნი ყველაფერს, რომ სამ გაკვეთლში ისწავლის ანბანს, რომ შეძლებს ყველაფრის მარტივად წაკითხვას და ა.შ. ანბანისა და გრამატიკის შესწავლის აუცილებლობას ვუდასტურებ, თან ვთავაზობ, რომ ამისთვის მაშინ სჭირდება გაკვეთილზე სიარული, ენის შესწავლა და თუ არ თნხმდება ინის სწავლაზე, მაშინ უბრალოდ უნდა შეიძინოს ჩემ მიერ გამოცემული „ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“, რომელშიც ლათინური ტრანსკრიპციითაა თითოეული გამონათქვამი გაწერილი, თემატიკით კი ყველა საჭირო თემაა დაფარული და გამოყენებული ისე, როგორც მსოფლიოში გამოცემული ამ ტიპის ლექსიკონთა უმრავლესობა. ენის შესწავლისთვის აუცილებელია ანბანის, წერის, გრამატიკის მიზნობრივი შესწავლა.

დიდი ფიქრი და განსაკუთრებული ლოგიკა არ სჭირდება იმას, რომ სწავლება პირველივე დონეზე იწყება ანბანის შესწავლით, უმნიშვნელოვანესი პირის ნაცვალსახელებით და „ყოფნა“ ზმნით. შემდეგ უკვე ეს ლექსიკური ჩარჩო ფართოვდება და მიზნობრივადაა გამოყენებული. ზმნის კონსტრუქციის მიხედვით სწავლებას ვიწყებთ თავისებური ზმნებით: „ყოფნა“, „ცოდნა“, „წასვლა“, „მოსვლა“ და „მ“ სისტემის მანიანი, ინვერსიული ზმნები: „დარქმევა“, „ნდომება“. შემდეგ კი შემოდის პირველი ტიპის „ვ“ სისტემის ვინიანი ზმნები.

ეს ვინიანი ზმნები დასმულია სისტემაზე, რადგან ამდენი თავისებური და სხვადასხვა კონსტრუქციის ზმნების სწავლების დასაწყისშივე შესწავლისას აუცილებელია სისტემური და ლოგიკური განვითარების ფორმები. ქართული ზმნები არის დაყოფილი თემის ნიშანთა სისტემის მიხედვით. ჩვენ გვაქვს - ი, -ამ, -ავ, -ებ, -ობ და უთემისნიშნო კატეგორიები ზმნის კონსტრუქციასთან დაკავშირებით. ამ

კატეგორიათაგან ჩვენ ვირჩევთ -ობთემისნიშნიან ზმნებს, რადგან გვაქვს ფუნდამენტური საყრდენი:

1. -ობთემისნიშნიანი ზმნა ბევრია;
2. ამ ზმნების 99%-ს ერთნაირი წარმოება აქვს;
3. გვაქვს 1506 -ობთმისნიშნიანი ზმნა, რომლებიც ერთნაირად აწარმოებს მომავალ დროს „ი“ პრეფიქსის დამატებითა და -ობ თემისნიშნის - ებ თემის ნიშნად ჩანაცვლებით;
4. ლექსიკური კუთხით პირველადი ქმედების გამოვლინებისთვის უმეტესობა ზმნებისას აქვს - ობ თემის ნიშანი.

მაგ.: მუშაობს, ცხოვრობს, ლაპარაკობს, ფიქრობს, თამაშობს, სწავლობს, საუბრობს, სეირნობს, თევზაობს, ნადირობს... ამის შემდეგ შემოდის -ებთემისნიშნიანი ზმნები: აკეთებს, ამზადებს, ათვალიერებს, აკლებს, აგრძელებს, აჩერებს, იღებს, ადღეგრძელებს...

ამრიგად, ტიპოლოგიის მიხედვით სწავლება იწყება საჭირო და აუცილებელი ზმნებით, რომლებიც არიან თავისებური წარმოების, შემდეგ შემოდის „მანიანი“ ტიპის ზმნები, შემდეგ „ვინიანი“ ტიპის ზმნები, რომელთაგანაც უპირატესობა ენიჭება „-ობთემისნიშნიანებს“ ზემოაღნიშნული არგუმენტების მიხედვით. შემდეგ კი „-ებთემიანიშნიანები“ და ნელ-ნელა ყველა თემისნიშნიანი ზმნები.

ჩვენ ვისაუბრეთ, როგორ არის შეტანილი ზმნები სერია „ბილიკის“ პირველ დონეზე. პირველ დონეში ვგულისხმობთ A1 და A2 საფეხურებს. ახლა სერიათა მიხედვით, როგორ ხდება მათი გადანაწილება. თითქოს გრამატიკული სისტემის მიხედვით დაყოფილი ზმნათა უღლება, რომელსაც თავისი სისტემა აქვს ჩვენ მიერ დანაწევრებულია. ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენ არ გვაქვს პრაქტიკული გრამატიკა, სასაუბრო მეტყველებაზე აგებული გრამატიკული კონსტრუქციები, როგორც ცალკე მორფოლოგიური კვლევა. შესაბამისად, პირველი სერია, რომელიც დაყოფილია ორ წრედ: აწმყოს წრე და მყოფადის წრე. ჩვენ ამჯერად ვიმსჯელებთ მხოლოდ აწყოს წრეზე და მასში შემავალ სამ მწკრივზე: აწმყოს მწკრივი, უწყვეტლის მწკრივი და აწმყოს კავშირებითის მწკრივი.

აწმყოს მწკრივი პირველია, რომელიც შემოდის სწავლების დაწყებისთანავე. როგორც ცნობილია, აწმყო გამოხატავს ახლანდელ დროსა და კილოს კატეგორიასაც. ჩვენ კილოს კატეგორიას არ ვეხებით, მხოლოდ აღვნიშნავთ ახლანდელ დროს, დროს, როცა მოქმედება ხდება ახლა, საუბრისას. საინტერესოა აკაცი შანიძის შედარება. მაგ.:

1. „ხომ ჰხედავ, რომ ვჭამ? – Can you see that I am eating?
2. მომიტანე და ვჭამ. – Bring me some food and I shall eat.
3. როცა საჭმელი მაქვს, ვჭამ. – When I have food I eat.“

„ამგვარად, ის დროული განსხვავება, რომელიც, ქართულში მხოლოდ წინადადებაში შემავალი სიტყვების საშუალებით არის დამყარებული, ინგლისურის თარგმანმა სამსავე შემთხვევაში ფორმობლივაც გამოამჟღავნა... ეს მაგალითი ამტკიცებს, რომ მწკრივი სხვაა და დრო კიდევ-სხვა“ (ა.შ. გვ.218).

ჩვენ ვიყენებთ აწმყოს მწკრივს დროის ფუნქციის მიხედვით სწავლების A1 დონეზე, რა თქმა უნდა, ყოველი ახალი ზმნა, მიუხედავად წარმოების ტიპისა, ყოველთვის წარმოდგენილია ახლანდელი დროით, აწმყოს მწკრივით.

არჩევანი გავაკეთეთ წარსული დროის სწავლებისთვის, მიზნობრივად, მეთოდური თარგის გამო უარი ვთქვით მეორე სერიის წყვეტილის მწკრივზე. გადავწყვიტე შემეტანა პირველი სერიის მეორე მწკრივი: უწყვეტელი. დაბოლოება

საკმაოდ ერთფეროვანი და ლოგიკურია, დასამახსოვრებლად კი ადვილი –დი, –დი, –და; –დით, –დით, –დნენ. ჯერ ხომ სისტემური „ვინიანი“ ზმნებიდან ვაქტიურებთ ---

ობთემისნიშნიანებს.

უწყვეტელი აჩვენებს წარსულ დროს, თხრობით კილოს გადმოგვცემს და „ზოგჯერ აგრეთვე უსრული ასპექტის გადმოცემა ეკისრება წარსულში სრულ-ასპექტიანი წყვეტილის საპირისპიროდ. მაგალითები: ვსწავლობდი, ვცხოვრობდი, ვწერდი, ვაშენებდი“ (ა.შ. გვ.219). „ბილიკი I“ A1-ის დონეზე შემოდის წარსული დრო, უწყვეტლის მწკრივი, ზმნა „ცხოვრობდა“ (ნ.შ. გვ.107).

მესამე მწკრივია აწმყოს კავშირებითი. აკაკი შანიძე თვლის, რომ ის შედგება ორი ელემენტისგან: დროისა და კილოსგან. დრო ან ახლანდელია, ან მომავალი. კილო – კავშირებითი. „ვამბობთ „აწმყოს კავშირებითიო“ რომ გავარჩიოთ მყოფადის კავშირებითისგან. მაგალითები: ვსწავლობდე, ვცხოვრობდე, ვწერდე, ვაშენებდე. რადგან ეს კავშირებითი პირველ სერიაში შედის, ამიტომ ხშირად მას I კავშირებითს ეძახიან, მაგრამ I სერიაში შედის აგრეთვე მყოფადის კავშირებითიც (ა.შ. გვ.219).

როგორც აღინიშნა, აწმყოს კავშირებითი ორი დროის გამომხატველი შესაძლებელია, როგორც ახლანდელი დროის, ისე მომავალი დროისა. საქმე ეხება სიტუაციასა და მთქმელის მიერ გამოთქმულ აზრს. ასეთ შემთხვევაში ლექსიკა განპირობებულია იდეის, შინაარსის გადაცემაზე. ქართულის, როგორც უცხო ენის შემსწავლელს, კონტექსტიდან ამოღებულს, როგორც ცხრილს, მწკრივის წარმოებას, ვერ შეუტან. სიტუაციურად კავშირებითის მწკრივები გრძნობას, სურვილს, საჭიროებას, ოცნებას, ადამიანურ შიშებს და სხვა გრძნობებს გამოხატავენ დროის მიხედვით. აწმყოს კავშირებითი - რა ვწვრებოდე? ოცნებაა, დიდი სურვილია, როგორც ახლა ასასრულებელი, ისე მომავალში. ნაწილაკის მიბმა შინაარსობრივად მწკრივის ფორმასთან სწავლებისას ამართლებს. მაგ.: ნეტა, ამას მეც ვაკეთებდე; ნეტა, ქართულს ასე მეც ვწერდე; ნეტა, მეც ასე სწრაფად ვსწავლობდე მათემატიკას; ნეტა, მეც დავითთან ერთად ვმუშაობდე ბანკში.

„ბილიკი IV“ სერიის C1 დონეზე შემოტანილი აწმყოს კავშირებითის მწკრივი. „ბილიკი IV“ C1 დაიბეჭდება 2025 წლის ბოლოს. ამჯერად მივუთითებთ დამოწმებისთვის, რომ „ბილიკი IV-ის“ მესამე კარიდან შემოდის მწკრივი „აწმყოს კავშირებითი“. მეთოდურად განსაზღვრულია მარტივიდან რთულისკენ ხედვა და ამიტომ ჯერ პირველი ტიპის ზმნებით ვიწყებ და ამ ზმნებით ლექსიკური სივრცის გამოყენებით ვიწყებ ამ მწკრივის შემოტანას ქართულის, როგორც უცხო ენის სერიის „ბილიკის“ სახელმძღვანელოში.

ქართულის, როგორც უცხო ენის სახელმძღვანელოების სერიაში „ბილიკი“ წარმოდგენილია ქართული ენის მასალა, გრამატიკა, როგორც პრაქტიკული ხედვით. მეოთხე წიგნით სრულდება მთლიანი გრამატიკის - მორფოლოგია, სინტაქსი - სწავლება. გაგიზიარებთ როგორ შემოდის ქართული ზმნა სწავლების სახელმძღვანელოებში დონეების მიხედვით და როგორია უკუგება ამ მიდგომასთან.

ლიტერატურა:

1. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 ივნისი; დადგენილება # 394/დანართი 4 - ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა, თბილისი, 2020
2. ოძელი, მ., - ქართული ენის ფლობის დონეების აღწერილობა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ევროპის საბჭოს ერთობრივექტი. თბილისი, 2016

3. შანიძე, ა., - თხზულებანი თორმეტ ტომად. ქართლი ენის გრამატიკის საფუძვლები. III ტომი, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი, 1980
4. შავთვალაძე ნ., სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“. სერია „ბილიკი“. დონე I, A2. „მოსწავლის წიგნი“ მოსასმენი მასალით. მეხუთე გამოცემა. გამომცემლობა „ფორმა“. 2022 (2019, 2014, 2012, 2006).
5. შავთვალაძე ნ., სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“. სერია „ბილიკი“, დონე A1/A2, „სამუშაო რვეული“, მეორე გამოცემა. გამომცემლობა „ფორმა“. 2013 (2008).
6. შავთვალაძე ნ., სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“, სერია „ბილიკი“. დონე A1/A2, „ქართული დიალოგები“. საკითხავი მასალა. მესამე გამოცემა. გამომცემლობა „ფორმა“. გამომცემლობა „ფორმა“. 2021 (2014, 2007).
7. შავთვალაძე ნ., სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“. სერია „ბილიკი“. დონე I, A 1, „მოსწავლის წიგნი“ მოსასმენი მასალით. მეექვსე გამოცემა. გამომცემლობა „ფორმა“. 2025 (2022, 2019, 2014, 2012, 2006).
8. <https://eqe.ge/ka/page/static/665/profesiuli-standartebi>
9. <http://www.geofl.ge/lego/doneebiLevel.php?parent=56>
10. <https://www.coe.int/en/web/common-european-framework-reference-languages/level-descriptions>
11. <https://rm.coe.int/georgian-reference-level-descriptions-a1-a2-b1-b2-cefr/168077b6f5>

Nana Shavtvaladze

University of Georgia

Tbilisi, Georgia

e-mail: nana.shavtvaladze@ug.edu.ge
<https://doi.org/10.52340/lac.2025.34.27>

SJIF 2025: 8.584

Teaching the Verb System According to the CEFR (Series I: Present Tense Group)

Abstract

Interest in Georgian as a foreign language has become especially prominent in this century. Of course, there was interest in learning this unique language earlier as well. That's why there were textbooks published for learning Georgian. However, it has only been in the past couple of decades that many foreigners have become interested in speaking Georgian. This approach differs from the format of learning Georgian as a second language. Recently, several textbooks have been published. Creating a textbook—especially one for the Georgian language—is a massive undertaking. There are many textbooks for learning foreign languages that are already tested and result-oriented. With internet access, discovering innovations and new approaches, and keeping up with the global pace, is no longer a challenge. Approaches to learning foreign languages—the paths of teaching, the methods used, strategies, and techniques—can in some ways be applied, but it is essential to consider the structure of the Georgian language and a methodical framework. Otherwise, the results will be unattainable.

Whether a textbook proves successful is determined by its users. This success is measured over years and by the number of editions published. Furthermore, the Georgian language and Georgia—by territory and sphere of use—do not occupy a large place on the global stage.

A general description of Georgian language proficiency levels is as follows: “The general description of Georgian language proficiency levels includes a set of criteria used to define proficiency in Georgian according to the corresponding levels of listening, reading, speaking, and writing. The document is based on the Common European Framework of Reference for Languages (CEFR) and its six-level system – A1, A2, B1, B2, C1, C2. The goal of the document is to implement a unified and standardized system for learning, teaching, and assessing the Georgian language. This general description of proficiency levels is mandatory in all cases of Georgian language learning, teaching, and assessment as defined by legislation.” This official document is very promising; it now serves as a foundation for using indicators and evidence when assessing Georgian language skills. Through it, it is possible to determine the alignment of materials, textbooks, and learning outcomes with language proficiency levels.

The most important aspects of a textbook are: defining its specific purpose, outlining the teaching path, organizing content logically, structuring each topic clearly, ensuring methodological consistency, following a strategy from simple to complex, organizing vocabulary purposefully, and so on.

Currently, the subject of our research is the scope of verb usage. Accessibility, comprehension of content, perception of the situation, and purposeful response are conceptually understandable and achievable. Every language uses its own structure to express this—which is natural. That the verb is the backbone of Georgian grammar is undisputed. By the way, many other languages' grammars emphasize the same action, but Georgian has no equal in this regard.

რეცენზენტი: პროფესორი მანანა მიქაელი